KA030132040726519

№ 01-2919 **25 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციის (EASL) მიერ მიწვეული ბრძანდებით მიმდინარე წლის 10-14 აპრილს ავსტრიაში, ქ. ვენაში დაგეგმილ ღვიძლის საერთაშორისო კონგრესზე.

კონგრესის ფარგლებში, ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციისა და აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ერთობლივი ორგანიზებით 11 აპრილს დაგეგმილია C ჰეპატიტის ელიმინაციის მიმართულებით ქვეყნის მიერ მიღწეული შედეგების თაობაზე საქართველოსადმი მიძღვნილი სესია, ასევე, ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის მიმართულებით საქართველოსათვის “Centre of Excellence”-ის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიება. ორივე ღონისძიებაზე გათვალისწინებულია თქვენი სიტყვით გამოსვლა.

მომწვევი მხარე ანაზღაურებს თქვენი მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯს და ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სოფიკო ბელქანიას მგზავრობის ხარჯს.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას თქვენთვის 2019 წლის 9 აპრილიდან 14 აპრილის ჩათვლით, ხოლო სოფიკო ბელქანიასთვის - 9 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით და დღიური ნორმისა და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე, სოფიკო ბელქანიასთვის დამატებით სასტუმროს ღირებულების (5 ღამე) ანაზღაურებას ფაქტიური ხარჯის მიხედვით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია